186
1975/2

186/21

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

50

იანვარი-თებერვალი

1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი-თებერვალი 1975 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.
2. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

3. 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.
4. 1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტის ახალი სატვირთო ტარიფების შემოღების შესახებ.

14.975

კ. მარქსის ს.ბ. ს.ჯ. სსრ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 ივლისის № 394 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
7. რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
8. საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოში სანაშენო საქმის მთავარი, უფროსი და რიგითი ზოოტექნიკოსების საშტატო ერთეულების აღდგენის შესახებ.
9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.
10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატის დამტკიცების შესახებ.
12. საქართველოს სსრ თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა მარაგის დაცვის გაძლიერების შესახებ.
13. თამბაქოს საფერმენტაციო საწარმოო გაერთიანების „აფხაზთამბაქოს“ შექმნის შესახებ.
14. „საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნის დამტკიცების შესახებ.
15. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების შესაბამისად სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურება რესპუბლიკაში არ შეესაბამება სოფლის მშრომელთა გაზრდილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს.

ჩვენი ქვეყნის ბევრ რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სრულყოფისათვის, შექმნილია კომუნალური მომსახურების რაიონული და სასოფლო კომბინატები, რომელთა მეოხებითაც მკვეთრად გაუმჯობესდა მუშაობა სოფლების კეთილმოწყობის, მათი წყალმომარაგებისა და სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სხვა დარგებში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების საკითხს საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 14 აგვისტოს № 454 დადგენილებით სასოფლო ჯგუფური წყალსადენები გადაეცა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში. მაგრამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 დეკემბრის № 676 დადგენილებით აღნიშნულ სამინისტროს დაკისრებული აქვს სასოფლო წყალსადენების ექსპლუატაცია სათავე ნაგებობებიდან მეურნეობათა ქსელამდე, ხოლო სარიგებელ ქსელს და სხვა სასოფლო წყალსადენებს ემსახურებიან ცალკეული მეურნეობანი, ამასთან, როგორც წესი, არაკვალიფიციურად.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ძირითადად ახორციელებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და რემონტს ნაღდ ანგარიშზე სოფლის მოსახლეობის შეკვეთით, მაშინ როცა კომუნალური მომსახურების ბევრი სახეობა განუხორციელებელი რჩება.

სასოფლო დასახლებული პუნქტების გაზმომარაგებას, მათ შორის ქსელებისა და ნაგებობების ექსპლუატაციას, ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო.

რაც შეეხება სასოფლო დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობასა და სანიტარიულ დასუფთავებას, მათს გამწვანებას, განათებას, გზების, ტროტუარების მოწყობას და სხვ., ეს საკითხები რესპუბლიკაში ფაქტიურად უყურადღებოდ და სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა.

სოფლების სამეურნეო და სოციალური გარდაქმნის ღონისძიებებმა, რომელთაც ამჟამად ახორციელებენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, დღის წესრიგში დააყენეს სოფლის მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების ახალი პრაქტიკული ამოცანები.

სოფლის მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების ძირეული გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს კონკრეტული ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შექმნან სამეურნეო ანგარიშზე სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატები.

პირველ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების აღნიშნული სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატები შეიქმნას ოჩამჩირისა და წითელწყაროს რაიონებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შექმნას, ექსპერიმენტის წესით, გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის კომბინატი სამეურნეო ანგარიშზე.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაონ კომუნალური მომსახურების საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატების საწარმოო ბაზების წლების მიხედვით განვითარების გეგმები და ურჩიონ მათი დამტკიცება საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოებს.

ყოველდღიური ყურადღება დაუთმონ კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატების, განსაკუთრებით მათი სარემონტო- სამშენებლო ბრიგადების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას და მათში შინასამეურნეო ანგარიშის სისტემის დანერგვას.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი სასოფლო კომუნალური სამსახურების ორგანოთა შექმნაში საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობის შესახებ.

5. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობათა საბჭოებს მიიღონ კომუნალური მომსახურების საკოლმეურნეობათაშორისო კომბინატებში საპაიო საწყისებზე საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციები მათი ადმინისტრაციების გადაწყვეტილების საფუძველზე და ზემდგომი ორგანოების თანხმობით.

გამოიყენონ აღნიშნულ ორგანიზაციათა ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სოფლების კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად და სოფლის მოსახლეობისათვის გაწეული კომუნალური მომსახურების გასაფართოებლად.

6. დაწესდეს, რომ კომუნალური მომსახურების სასოფლო საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატების საქმიანობას გეგმავენ კოლმეურნეობათა გამგეობები სასოფლო საბჭოებისა და მეპაიეთა წინადადებების გათვალისწინებით. სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოთა მოცულობას კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატების კრებსითი გეგმების საფუძველზე ამტკიცებენ რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოები და იწონებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და საქართველოს სსრ საბინაო- კომუნალური მეურნეობის სამინისტრო.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმებში ცალკე სტრიქონად საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსათვის დავალება სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების, სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, რასაც ასრულებენ კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმო-ორგანიზაციების საპაიო საწყისებით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ დაუგზავნოს დავალებანი რაიონებს.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში ცალკე სტრიქონად საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები სოფლების კეთილმოწყობის, კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატების საწარმოო ბაზების განვითარების სამუშაოთა განსახორციელებლად.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ გაუწიოს სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონულ საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატებს დახმარება მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობის შეკეთებაში, აგრეთვე ტვირთის გადაზიდვასა და სხვა სამუშაოთა შესრულებაში „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებებთან კომბინატების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დაგეგმონ სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატებისათვის დასაწესებელ სამუშაოთა მოცულობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა კოლმეურნეობების საჭიროებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სამომხმარებლო კოოპერაციათა საბაზრო ფონდებისა და ადგილობრივი წარმოების საშენი მასალების არსებობის გათვალისწინებით.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაონ და შეუთანხმონ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატების საქმიანობის სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები და წესი.

12. დაევალოს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისადმი ხელმძღვანელობისათვის საჭირო აპარატის შექმნისა და შენახვის შესახებ.

13. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო (საუწყებათაშორისო) კომბინატების სანიმუშო წესდებანი და შეიტანონ საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს განსახილველად.

14. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მოაწყოს სოფლის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების სასოფლო და რაიონული კომბინატებისათვის საჭირო კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 4 თებერვალი, № 116.

2 ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ისტორიული, არქიტექტურული, საქალაქთმშენებლო და მხატვრული მნიშვნელობა აქვს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით განსაზღვრული ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილი გამოცხადდეს სახელმწიფო დაცვის ზონად, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს დებულება ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შესახებ, № 2 დანართის თანახმად.

3. შეიქმნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს შემადგენლობაში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო საზოგადოებრივ საწყისებზე და ქალაქ თბილისის არქიტექტურულ ძეგლთა დაცვის ინსპექცია და დაევალოთ მათ უზრუნველყონ სახელმწიფო დაცვის ზონის დებულებით დაწესებული რეჟიმის შესრულება.

4. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს ქალაქ თბილისის არქიტექტურულ ძეგლთა დაცვის ინსპექციის შემადგენლობა და დაფინანსების წყაროები მისი შენახვისათვის.

5. დაევალოს „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტს შეიმუშაოს 1975-1976 წლებში ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის დეტალური დაგეგმარების პროექტი, ხოლო შემდგომში — ამ ზონის ცალკეული უბნების განაშენიანებისა და შენობათა რეკონსტრუქციის პროექტები.

6. შეიქმნას „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტში სპეციალური სახელოსნო ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-რეგენერაციასთან დაკავშირებული პროექტების შესადგენად და დაკომპლექტდეს იგი შესაბამისი სპეციალისტებით (არქიტექტორ-რესტავრატორებით, ხელოვნებათმცოდნეებით).

7. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარმა საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველომ განიხილოს და შეათანხმოს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია დაპროექტების ყოველ ცალკეულ სტადიაზე საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდიკურ საბჭოსთან და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად.

8. დაევალოს სსრ სახმშენს გამოუყოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამ-

მართველოს სახსრები სახელმწიფო დაცვის ზონის დეტალური დაგეგმარების პროექტების შესადგენად.

9. დაეკისროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-რეგენერაციასთან დაკავშირებული სამუშაოების საერთო ხელმძღვანელობა.

დაევალოს მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს განსაკუთრებული ზედამხედველობა გაუწიოს ქალაქ თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიის რეკონსტრუქციასა და განაშენიანებას კოჯრის გზატკეცილიდან და მთაწმინდის ფერდობიდან რუსთაველის სახელობის მოედნამდე არსებულ ფარგლებში.

10. რეკონსტრუქციის ზონაში არსებული მოქალაქეთა პირადი საკუთრების იმ სახლების რესტავრაციის მიზნით, რომლებიც ისტორიულ ან არქიტექტურულ ძეგლებს წარმოადგენენ, გავრცელდეს მათზე სახელმწიფოს მიერ კულტურის ძეგლთა დაცვის დებულებით გათვალისწინებული წესი.

11. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

— შექმნას სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს თბილისის უბანი. ამასთან გაითვალისწინოს აღნიშნული სამმართველოსა და სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს სამუშაო გეგმაში ქალაქ თბილისის ისტორიულ ნაწილში განლაგებული ძეგლების რესტავრაციისა და ადაპტაციის პროექტების შემუშავება;

— შეაფასოს სახელმწიფო დაცვის ზონაში აღდგენით-გასამაგრებელ სამუშაოთა ღირებულება სამინისტროს მიერ დამტკიცებული სარესტავრაციო სა-მუშაოთა ნორმების მიხედვით.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს მხატვართა კავშირს, საქართველოს არქიტექტორთა კავშირს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოსთან ერთად 1975 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე განსაზღვრონ ტურიზმის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის იმ ობიექტების შემადგენლობა და ხასიათი, რომელთა განლაგებაც მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონაში, და გაითვალისწინონ სათანადო სახსრების გამოყოფა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოთა განსახორციელებლად.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს 1975-1980 წლებში შესაბამისი ლიმიტებისა და დაფინანსების გამოყოფა დაცვის ზონის საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად და ყოველწლიურად დამატებით 200-300 ათასი მანეთის გამოყოფა ქალაქ თბილისის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვის ზონის არქიტექტურული ძეგლების კაპიტალური რემონტისა და რესტავრაციისათვის.

14. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს 1975-1980 წლებში ქალაქ თბილისის დაცვის ზონის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დაფინანსება.

15. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაითვალისწინოს, მოყოლებული 1976 წლიდან, გარკვეული რაოდენობის ბინების გამოყოფა ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონიდან გადასასახლებელი ოჯახების უზრუნველსაყოფად.

16. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 25 თებერვალი, № 141.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 25 თებერვლის № 141
დადგენილების დანართი № 1

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრებისა

დაცვის ზონის ჩრდილოეთი საზღვარი იწყება მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მტკვრის ქუჩის ჩრდილოეთით 130 მეტრ მანძილზე. საწყისი წერტილიდან საზღვარი მიუყვება სანაპიროს მდინარე მტკვრის დინების მიმართულებით, ჰკვეთს ბარათაშვილის ქუჩას და მიდის მეტეხის ხიდამდე. შემდეგ მეტეხის ხიდით გადადის მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მიუყვება ღვინის აღმართს მის განშტოებამდე. განშტოებიდან საზღვარი გადის ბარათაშვილის აღმართით, შემდეგ შაუმიანის ქუჩით აღწევს ჩეხოვის ქუჩამდე. ჩეხოვის ქუჩასთან გადაკვეთის ადგილიდან საზღვარი ხევით ეშვება მდინარე მტკვრისაკენ, ჰკვეთს მას და მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ მიდის სამასი არაგველის ობელისკამდე. ობელისკიდან ზონის საზღვარი სანაპიროსადმი სწორი კუთხით სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით ჰკვეთს სამასი არაგველის სახელობის პარკს და ქუმსიაშვილის ქუჩის გაყოლებით არსებული განაშენიანების გავლით გამოდის ამ განაშენიანების განაპირას. შემდეგ საზღვარი ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიუყვება განაშენიანების მთიანი ნაწილის საზღვარს წავკისის ხევის ხიდამდე. აქედან ზონის საზღვარი გრძელდება შ. დადიანის ქუჩით და შემდეგ პუშკინის ქუჩით კოლმეურნეობის მოედნამდე. შემდეგ კოლმეურნეობის ქუჩით აღწევს ფურცელაძის ქუჩასთან გადაკვეთამდე, ეშვება ფურცელაძის ქუჩით, ჰკვეთს არსებულ საქალაქო განაშენიანებას და გამოდის სანაპიროზე საწყის წერტილთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 25 თებერვლის № 141
დადგენილების დანართი № 2

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შესახებ

ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ებ ა ნ ი

1. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში შედის განაშენიანებული ტერიტორია შაუმიანის ქუჩასა და მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირს შორის ღვინის აღმართიდან გოგილოს აბანომდე, მდინარე მტკვრის მთელი მარჯვენა სანაპირო და მთის ფერდობები სამასი არაგველის ობელისკიდან დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის-ქუჩებამდე, № 1 დანართის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის გამოცხადება სახელმწიფო დაცვის ზონად მიზნად ისახავს ქალაქის ძველი ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის, დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფას (დაგეგმარების სტრუქტურა, განაშენიანების ხასიათი, მასშტაბი, ლანდშაფტი), მისი რეგენერაციისა და რესტავრაციის სამუშაოთა რეგულირებას მოსახლეობის საცხოვრებელი და შრომის პირობების გაუმჯობესების გათვალისწინებით, აგრეთვე ამ ზონაში არსებულ კულტურულ ფასეულობათა პროპაგანდასა და გაცნობას როგორც საბჭოთა, ისევე საზღვარგარეთელი ტურისტებისათვის.

რ ე ჟ ი მ ი

1. სახელმწიფო დაცვის ზონაში შემავალი ობიექტების დაცვა-შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) აიკრძალოს, როგორც წესი, სახელმწიფო დაცვის ზონაში ახალი მშენებლობა, აგრეთვე საცხოვრებელი ან სხვა ფართობის გადიდება დაშენების ან მიშენების გზით ამის თაობაზე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგანგებო ნებართვის გარეშე;

ბ) განთავისუფლდეს სახელმწიფო დაცვის ზონა ისეთი შენობა-ნაგებობებისაგან, რომლებიც არქიტექტურულ ან კულტურულ-ისტორიულ ფასეულობას არ წარმოადგენენ და აფერხებენ ძველი ქალაქის მხატვრული სახის სათანადოდ გამოვლინებას;

გ) თანდათან განთავისუფლდეს სახელმწიფო დაცვის ზონა სამეურნეო სამრეწველო და სხვა ობიექტებისაგან, უწინარეს ყოვლისა ისეთი ობიექტებისაგან, რომლებიც მოითხოვენ ინტენსიურ სატრანსპორტო მომსახურებას;

დ) გამოვლინდეს საქალაქთმშენებლო შესაძლებლობანი სახელმწიფო დაცვის ზონაში განლაგებული ძეგლების, შენობათა ჯგუფების ან მხატვრული ღირებულების მქონე ცალკეული ნაგებობების უკეთ ჩვენებისათვის და გამოყენებულ იქნენ ისინი თანამედროვე ფუნქციური დანიშნულებით, ამასთან გა-

თვალისწინებულ იქნეს ძველი ქალაქის ჩამოყალიბებული არქიტექტურული ტრადიციები და კოლორიტი (განაშენიანების მასშტაბი, რიტმი, ხედები, სილუეტი, საშენი მასალები, ქუჩების სავალი ნაწილის საფარი, ფასადების მოპირკეთება და ა. შ.).

2. სახელმწიფო დაცვის ზონაში მშენებლობის მიზანდასახული რეგულირებისათვის განისაზღვროს კვლევით და საპროექტო სამუშაოთა წარმოების შემდეგი წესი:

ა) საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას უნდა უძღოდეს ისტორიულ-არქიტექტურული გამოკვლევა, რომლის შედეგების მიხედვითაც განისაზღვრება დაპროექტებისათვის საჭირო წანამძღვრები;

ბ) კვლევით, საპროექტო ან სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას გამოვლინებული შენობათა, კონსტრუქციათა ნაწილები და დეტალები, რომლებიც არქიტექტურულ-ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენენ, უნდა აღინუსხოს შენარჩუნებული და სათანადოდ ექსპონირებული იქნეს;

გ) სახელმწიფო დაცვის ზონაში არსებულ შენობათა მნიშვნელოვანი მოცულობის მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან კაპიტალური რემონტის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგეს ქალაქ თბილისის მთავარი საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოს მიერ გაცემული საარქიტექტურო-დაგეგმარებითი დავალების საფუძველზე;

დ) სახელმწიფო დაცვის ზონაში მშენებლობის ყველა პროექტი უნდა დამუშავდეს სამ სტადიად: ესკიზური პროექტი, ტექნიკური პროექტი და სამუშაო ნახაზები;

ე) კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩასატარებლად ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეუთანხმდეს მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოსთან არსებულ ძეგლთა დაცვის ინსპექციას.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა

1. მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოსთან არსებული ძეგლთა დაცვის ინსპექცია:

ა) მოვალეა მოაწესრიგოს და შეათანხმოს სახელმწიფო დაცვის ზონაში განლაგებული ობიექტების არქიტექტურასა და მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა;

ბ) ასრულებს აღნიშნული ზონის ფარგლებში სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის ინსპექციისა და რაიონის არქიტექტორის ფუნქციებს;

გ) მონაწილეობს ყველა სახეობის სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვაში და გასცემს ნებართვას მშენებლობის დასაწყებად;

დ) გასცემს მითითებებს ქალაქის ისტორიული ნაწილის რემონტის, რესტავრაციისა და კეთილმოწყობის, გარეგნული სახის გაუმჯობესების სამუშაოთა წარმოების შესახებ;

ე) საჭირო შემთხვევებში დამატებით დააფინანსებს საპროექტო ან სამშენებლო სამუშაოებს, თუ წარმოებულ სამუშაოთა ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება მათს ნორმატიულ ღირებულებას;

ვ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარუდგენს შესაბამის ორგანოებს მასალებს იმ მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა შესახებ, რომლებმაც დაარღვიეს სახელმწიფო დაცვის ზონის დებულება;

ზ) სარგებლობს უფლებით თავისუფლად შევიდეს სახელმწიფო დაცვის ზონაში განლაგებულ ყოველ ობიექტში;

თ) პასუხისმგებელია ამ დებულების მოთხოვნათა დაცვისათვის.

2. „თბილქალაქპროექტის" ინსტიტუტთან შექმნილი სპეციალური არქიტექტურული სახელოსნო ასრულებს სახელმწიფო დაცვის ზონის ფარგლებში წამყვანი საპროექტო ორგანიზაციის ფუნქციებს და მონაწილეობს ყველა სახეობის სამუშაოთა (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კაპიტალური რემონტი და ა. შ.) წარმოებისათვის საჭირო საარქიტექტურო-დაგეგმარებით დავალებათა შედგენაში.

ს ა ხ ს რ ე ბ ი

მთავარ საარქიტექტურო-დაგეგმარების სამმართველოსთან არსებული ძეგლთა დაცვის ინსპექციის განკარგულებაში სახსრები შემოდის იმ ორგანიზაციებისაგან, რომელთა მიერ დაცვის ზონის ტერიტორიაზე იჯარით აღებული ნაგებობანი კულტურულ-ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენენ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

3 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის საქართველოს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საქართველოს მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ფართოდ გააჩაღეს რა საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, თავდადებით შრომობენ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმმა და დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, განსაზღვრავს მოქმედების კონკრეტულ პროგრამას თითოეული დარგისათვის, თითოეული შრომითი კოლექტივისათვის, მიზნად ისახავს ეკონომიური ზრდის სწრაფი ტემპის მიღწევას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის არსებითს ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებების, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად რესპუბლიკის მოწინავე მუშები და შრომითი კოლექტივები კისრულობენ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს და იღებენ შემხვედრ გეგმებს, რომ ვადამდე შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნეს სოციალისტური ვალდებულებანი 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ, რომლებიც შეიმუშავეს და განიხილეს საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებების კოლექტივებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა:

— განუხრელი შესრულებისათვის მიიღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 9 იანვრის № 32 დადგენილება „1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ და მიიჩნიონ იგი მოქმედების სახელმძღვანელოდ;

— ყოველნაირად გააძლიერონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის და მიიჩნიონ, რომ შეჯიბრება როგორც კოლექტივებს შიგნით, ისე მონათესავე და მომიჯნავე საწარმო-ორგანიზაციებს შორის, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს შორის 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის გეგმის ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად რჩება;

— სოციალისტური შეჯიბრება, ისევე როგორც წინა წლებში, უნდა მიმდინარეობდეს ლოზუნგით — გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით;

— შეჯიბრების მონაწილეთა მეცადინეობა წარმართონ დადგენილი ნომენკლატურისა და ასორტიმენტის პროდუქციის წარმოების მოცულობისა და მიწოდების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, ახალი საწარმოო სიმძლავრეების ათვისების დაჩქარებისა და მოქმედთა უფრო სრული გამოყენების, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის, თითოეული საწარმოს მიერ კოოპერირებული მიწოდებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა გეგმების ვადამდე შესრულების ხარჯზე;

— უზრუნველყონ პროდუქციის ხარისხის არსებითი გაუმჯობესება, მისი ტექნიკური დონის ამაღლება, ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვების გადიდება;

— უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარება მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაჩქარებული დანერგვის, შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების გზით;

— სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წარმოების რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის დაზოგვას, დანაკარგების, ნარჩენებისა და არამწარმოებლური დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას და აღმოფხვრას;

— უზრუნველყონ კაპიტალური დაბანდების შემდგომი ამაღლება, ასამუშავებელი ობიექტების ამოქმედების დაჩქარება, ახლად ამუშავებული სიმძლავრეების ათვისების ვადების შემცირება და არსებულთა უკეთ გამოყენება, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის დაჩქარება;

— უზრუნველყონ საჭირო პირობების შექმნა იმისათვის, რომ მუშები და ბრიგადების, უბნებისა და საამქროების კოლექტივები წარმატებით ასრულებდნენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს და შემხვედრ გეგმებს;

— უზრუნველყონ რეგულარული კონტროლი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისადმი.

3. 1975 წელს გაგრძელდეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება:

— ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოების მიერ 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის;

— სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია-საწარმოების კოლექტივებისა — უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების ხაზით სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

4. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველნაირად გაავრცელონ მოწინავე მუშების, ბრიგადების, ცვლების, უბნების პატრიოტული ინიციატივა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-წლისთავის აღსანიშნავად დამკვრელური შრომის ვახტის მოწყობის თაობაზე.

5. ფართოდ გამოიყენონ დადებითი გამოცდილება, რომელიც დაგროვილია მიმდინარე ხუთწლედში თვითეული მუშისათვის საგეგმო დავალებების გაცნობის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გაზრდების, ოთხ დღეში ხუთი დღის დავალებათა შესრულების, მუშაკთა რიცხვის გაუდიდებლად და მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარების, უმაღლესი და პირველი კატეგორიის ხარისხის ნაკეთობათა ხვედრითი წონის გადიდების, მატერიალური რესურსების მომჭირნეობის გზით ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების საქმეში.

6. წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდეს:

— საწარმოების, საწარმოო გაერთიანებების, მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 52 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები 38 ათას მანეთამდე ოდენობით (აქედან ოთხი — უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების ხაზით სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივებს, რომლებიც დაძაბულ შემხვედრ გეგმებს მიიღებენ, შეასრულებენ და უზრუნველყოფენ ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით, აღნიშნული პრემიები გაუდიდდეთ 25 პროცენტის ფარგლებში.

პრემიების აღნიშნულ გადიდებას შეიძლება მოხმარდეს დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შემხვედრი გეგმის ჩაუთვლელად დაზოგილი ნედლეულის, მასალების ხარჯზე ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ზეგეგმითი მოგების 40-მდე პროცენტი;

— საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო რაიონებისათვის (მრეწველობის დარგში) — 5 გარდამავალი წითელი დროშა;

— ქალაქებისა და ქალაქის რაიონებისათვის — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 12 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები 4 ათას მანეთამდე ოდენობით;

— საუკეთესო ბრიგადებისათვის (უბნებისათვის) — სამინისტროებისა (უწყებებისა) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო ვიმპელები.

დაწესდეს, რომ ვიმპელებით დაჯილდოებულ ბრიგადების წევრებს გადაეცემათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები:

— წამყვანი პროფესიის მუშათა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის — სამინისტროთა (უწყებათა), პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით და დიპლომებით დაჯილდოებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებისათვის პრემიების გაცემა წარმოებს:

— სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოებსა და ორგანიზაციებში — ზეგეგმითი მოგებისა ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღწეული ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რომელიც საწარმოსა თუ ორგანიზაციას მიღებული აქვს კალენდარული წლის დამდეგიდან; დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, თუ ზეგეგმითი მოგება საკმარისი არ არის, — საწარმოს მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე;

— დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, — დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხარჯთაღრ-

1958

კ. მარქსის ს.ხ. ს.კ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ცხვაში ეკონომიის ხარჯზე, ხოლო თუ ეს სახსრები საკმარისი არ არის, — მთლიანად შესაბამისი სამინისტროს (უწყების) ხარჯთაღრიცხვაში ეკონომიის ხარჯზე.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე კოლექტივებს, რომლებიც დაჯილდოვდებიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით, პრემიები ეძლევათ იმავე ოდენობით, როგორც იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ადრე (1973 წლამდე) დაჯილდოვდნენ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით.

7. შენარჩუნებულ იქნეს დარგის შიგნით საწარმოთა, მშენებლობათა, ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების კვარტალური შეჯამებისა და მათთვის სამინისტროთა (უწყებათა) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების გადაცემის წესი.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა განსაზღვრა უნდა ხდებოდეს 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით და ხუთწლიან დავალებათა შესრულების გათვალისწინებით.

8. საწარმოთა საუკეთესო კოლექტივების, მოწინავეებისა და ნოვატორების მიღწევათა პროპაგანდის გაძლიერებისა და ფართო გავრცელების მიზნით სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და 1975 წელს განახორციელონ საწარმოთა, საამქროთა, ბრიგადების, წამყვან პროფესიათა მუშების მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის კონკრეტული პროგრამა;

— განავითარონ და განამტკიცონ საწარმოო კოლექტივების თანამეგობრობა სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან შრომის მოწინავე მეთოდების, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების გავრცელებასა და დანერგვაში.

9. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საინფორმაციო სააგენტომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა:

— სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, კონკრეტული მიჯნები, რომლებსაც მიაღწევენ მოწინავე მუშები, ბრიგადები, საამქროები, საწარმოები, ქალაქები, ოლქი, ავტონომიური რესპუბლიკები 1975 წლის განმავლობაში, შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების კვარტალური და წლიური შედეგები;

— გააუმჯობესონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების დაჩქარებისათვის, დიდმწარმოებლურ სახეობათა მანქანებისა და მოწყობილობის, ტექნოლოგიური პროცესების და ახალი მასალების შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის კონკრეტული გამოცდილების გაშუქება; მოაწყონ შეჯიბრების მონაწილე კოლექტივებისა და წამყვან პროფესიათა მუშების გადაძახილები;

— უფრო მკაფიოდ და ღრმად უჩვენონ სოციალისტური შეჯიბრების, როგორც თითოეული საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის, მასების ინიციატივის განვითარებისა და სოციალისტური კოლექტივიზმის ჩამოყალიბების ქმედითი საშუალების აღმზრდელობითი როლი; იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გამოსვლების ქმედითობის შემდგომი ამაღლებისათვის;

— განაგრძონ რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობისა და შედეგების ჩვენებისადმი მიძღვნილი სპეციალური გვერდების გამოქვეყნება.

10. საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გამოიყენონ შრომითს კოლექტივებში თვალსაჩინო აგიტაციის სხვადასხვა საშუალებანი, მკაფიო, გასაგები ფორმით გააშუქონ ის ამოცანები, რომლებიც დასახულია საწარმოების, ორგანიზაციების წინაშე, უჩვენონ მათი წარმატებით გადაწყვეტის გზები და საშუალებანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე განახლდეს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა — მეცხრე ხუთწლედის გმირთა გალერეა.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოაწყოს სამინისტროებში და მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების საწარმოებში, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვა.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს სამინისტროების (უწყებების) და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების შეკვეთით სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე პლაკატებისა და თვალსაჩინო აგიტაციის სხვა საშუალებათა მასობრივი ტირაჟით დამზადება, აგრეთვე დარგებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად საპატიო სიგელების დამზადება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიო-

მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა 1975-1976 წლებში გამოუშვან დოკუმენტური ფილმები, რომლებიც გვიჩვენებენ მეცხრე ხუთწლედის მოწინავეთა გმირულ სახეებს და მათი მუშაობის გამოცდილებას.

*

* *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ყველა მშრომელი კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას, უზრუნველყოფენ 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და წარმატებით დაამთავრებენ მეცხრე ხუთწლედს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 27 იანვარი, № 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 27 იანვრის № 64 დადგენილების დანართი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების, დიპლომებისა და ფულადი პრემიების განაწილება საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	დროშების რაოდენობა
1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	2
2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო	1
3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2
4. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	2
5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	3
6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	2
7. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	2
8. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	2
9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	4
10. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	2
11. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	1
12. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	2
13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	3
14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	3
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველო	1
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველო	1
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	1
19. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	1
20. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	1
21. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო	1
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო	1
23. ცეკავშირი	3
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	1
25. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	1
26. საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა რესპუბლიკური გაერთიანება	1
27. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო (უმაღლესი სასწავლებლებისათვის)	1
28. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო (საშუალო სკოლებისათვის)	1

№ 1 ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	დროშების რაოდენობა
29. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის)	1
30. საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა ორგანიზაციების კოლექტივებს უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დარგში სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის	4

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 9 იანვრის № 33 დადგენილება „1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი იმის ახალი გამოვლინებაა, თუ როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც შეიმუშავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, რომელიც მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს გაჩაღდა, გადაიქცა ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ძოძრაობად სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა. ამით კარგი საფუძველი შეექმნა ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა შესანიშნავი შედეგები მოიპოვეს მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დარგში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმაში, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმმა და დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, დასახულია პასუხსაგები ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისაგან მოითხოვს დაძაბულ შრომას, ტექნიკის უფრო ნაყოფიერ გამოყენებას, მუშაობის უკეთეს ხარისხს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანზე.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბევრმა კოლექტივმა, წარმოების მოწინავეებმა და ნოვატორებმა ინიციატივა გამოიჩინეს სრულიად სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში იმისათვის, რომ უკეთ გამოიყენონ ყველა რეზერვი და ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მოიწიონ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ჩაის ფოთლის უფრო უხვი მოსავალი, გაზარდონ ხორცის, რძის, კვერცხის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება, წარმატებით შეასრულონ 1975 წლის გეგმა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის დავალებანი.

„1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 9 იანვრის № 33 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მხარი დავუჭიროთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, განყოფილებების, ბრიგადების, ფერმების კოლექტივების, მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების ინიციატივას, რომლებმაც გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და შემხვედრი გეგმები მიიღეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის და წამოაყენეს წინადადება გააჩაღონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება 1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

2. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა შეჯიბრებაში სოფლის ყველა მშრომელის ჩაბმისათვის და წარმართონ მათი მეცადინეობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომი აღმავლობი-

სათვის, იმ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

დაწესდეს, რომ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად მიჩნეული იქნებიან ის ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქი, რაიონი, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათა-შორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, ფერმებისა და რგოლების ის კოლექტივები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ მაჩვენებლებს მოიპოვებენ წარმოების ტემპის დაჩქარებაში, მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ეთერზეთოვანი კულტურების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში, მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის მასობრივ მოძრაობაში, თითოეული ჰექტარი მიწის რაციონალურ გამოყენებაში, სათესი ფართობების სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებაში, ორგანული სასუქების შეტანის მნიშვნელოვან გადიდებასა და მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში, წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიისა და აგროტექნიკური ხერხების დანერგვაში, აგრეთვე ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლებასა და სულადობის ზრდაში, ფერმებში, პროგრესულ ტექნოლოგიათა დანერგვაში, ცხოველების ინტენსიური გამოზრდისა და სუქების ორგანიზაციაში, საკვების უფრო ეფექტიან გამოყენებაში.

3. პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყოველდღიურად აამაღლონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა წარმოების ყოველ უბანზე, გაზარდონ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების როლი შეჯიბრების ორგანიზაციაში, ჩაუნერგონ თითოეულ სოფლის მშრომელს გეგმისა და ვალდებულებების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. გააძლიერონ მუშაობა მასობრივ სასოფლო-სამეურნეო პროფესიათა კადრების, განსაკუთრებით მექანიზატორების მომზადებისა და გადამზადებისათვის, უფრო ფართოდ გაშალონ დამრიგებლობა.

მიმდინარე წელს ქართველი ხალხი მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებთან ერთად აღნიშნავს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ რესპუბლიკის ყველა სოფლის მშრომელს აღნიშნონ ეს ისტორიული თარიღი ახალი მიღწევებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში.

4. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდგომი გადიდებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულების — ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, რაი-

ონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რესპუბლიკის სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 55 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები, აქედან:

— ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 10-დან 15 ათას მანეთამდე;

— რაიონებისათვის — 10 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები 5-დან 10 ათას მანეთამდე, გარდა ამისა, პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების გასადიდებლად შეჯიბრების გამარჯვებული რაიონებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 5 ათასი მანეთი, ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის — 2 გარდამავალი წითელი დროშა და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები 3-დან 5 ათას მანეთამდე;

— კოლმეურნეობებისათვის — 20 გარდამავალი წითელი დროშა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის — 10 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები. გარდა ამისა კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც გაადიდებენ პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოებას, — 2, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები; კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც გაადიდებენ ბოსტნეულის წარმოებასა და დამზადებას, — 2, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის — 2; კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც გაადიდებენ კარტოფილის წარმოებასა და დამზადებას, — 2, საბჭოთა მეურნეობებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული საწარმო-ორგანიზაციების კოლექტივებისათვის ფულადი პრემიების ოდენობა განისაზღვროს პრემიების იმ სკალის შესაბამისად, რომელიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ, დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 4 გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომები და ფულადი პრემიები, აქედან, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" კოლექ-

ტივებისათვის — 1, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის — 1, დამზადების სამინისტროსათვის—1, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისათვის — 1.

შენარჩუნებულ იქნეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების კვარტალში ან ნახევარ წელიწადში ერთხელ შეჯამების მოქმედი წესი, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების წესი.

5. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარებისა და განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, რგოლებისა და მეცხოველეობის ფერმების იმ კოლექტივების წახალისების მიზნით, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მოიპოვებენ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების დანერგვისათვის მუშაობაში და ამ საფუძველზე უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან გადიდებას, შეამცირებენ შრომის დანახარჯებსა და თვითღირებულებას, აგრეთვე გააუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, დაწესდეს სამინისტროების, უწყებებისა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების 100 საპატიო დიპლომი, მათ შორის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის 90 დიპლომი (65—კოლმეურნეობებისათვის, 25—საბჭოთა მეურნეობებისათვის), საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 5 საპატიო დიპლომი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 4 საპატიო დიპლომი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 1 საპატიო დიპლომი და სამახსოვრო საჩუქრები.

6. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის" საწარმოთა საამქროებისა და სხვა საწარმოო განყოფილებების კოლექტივებისათვის დაწესდეს ამ სამინისტროთა და უწყებათა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 15 საპატიო დიპლომი, აქედან 5 — საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოებისათვის, 5 — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და 5 — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საწარმოებისათვის.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესდეს 250 საპატიო დიპლომი მოწინავე ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის, კომბაინერებისათვის, ავტომანქანების მძღოლებისათვის, მეჩაიეებისათვის, მევენახეებისათვის, მწველავებისათვის, მწყემსებისა და წამყვანი სასოფლო-სამეურნეო პროფესიების სხვა მუშაკებისათვის, აქედან:

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 220 საპატიო დიპლომი, მათ შორის 160 — კოლმეურნეებისათვის, და 60 — საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის;

— საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 15 საპატიო დიპლომი;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის 15 საპატიო დიპლომი.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოთა იმ მოწინავე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დასაჯილდოებლად, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებაში, დაწესდეს 45 საპატიო დიპლომი, აქედან 15 — დამზადების სამინისტროს სისტემის, 15 — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და 15 — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის მუშაკებისათვის.

დაწესდეს, რომ საწარმოო ქვეგანაყოფების კოლექტივებსა და პროფესიების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ, რომლებიც საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდებიან, გადაეცემათ სახელობითი სამახსოვრო საჩუქრები, აგრეთვე რიგგარეშე მიეყიდებათ საბაზრო ფონდით გამოყოფილი მსუბუქი ავტომობილები.

7. დაწესდეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, რაიონებისათვის, კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება, აგრეთვე სამინისტროების, უწყებებისა და შესაბამისი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების საპატიო დიპლომებით დაჯილდოება ხდება წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა
საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ შესაბამის პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ განყოფილებების, ბრიგადების, რგოლების, ფერმებისა და საამქროების სოციალისტური შეჯიბრების, აგრეთვე პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პირობები და წესი.

გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებულ რაიონებს, კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს ფულადი პრემიები მიეცეთ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებს — მოგებისა და ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე. სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ კოლექტივებს, ფერმებს, ბრიგადებს, რგოლებსა და წარმოების მოწინავეებს სახელობითი საჩუქრები მიეცეთ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნულ ღონისძიებათა დაფინანსების შესახებ.

8. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— სსრ კავშირის ორდენებით დასაჯილდოებლად წარმოადგინონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციები, რომლებიც განსაკუთრებულ წარმატებებს მოიპოვებენ 1975 წელს და შეასრულებენ მთლიანად დავალებებს;

— სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარმოადგინონ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და მოსამსახურეები, სატრანსპორტო, დამამზადებელი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ და შრომითს მამაცობას გამოიჩენენ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის მხრივ 1975 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით, აგრეთვე „1975 წლის სოციალისტურ შეჯიბრების გამარჯვებულის“ და „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელის“ სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებლად წარმოადგინონ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მოიპოვებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვადამდე შეასრულებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ შესაბამისი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად პერიოდულად შეამოწმონ და გააანალიზონ, თუ როგორ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის.

9. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა და ჟურნალებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ 1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, უკეთ გამოიყენონ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი იმისათვის, რომ მკაფიოდ და გასაგებად აჩვენონ, თუ როგორ სრულდება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანები, რომლებიც დასახულია შრომითი კოლექტივების წინაშე.

დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ შეიმუშაონ და განახორციელონ 1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის კონკრეტული პროგრამა, უზრუნველყონ ამ გამოცდილების ფართო პროპაგანდა, განავითარონ და განამტკიცონ საწარმოო კოლექტივების თანამეგობრობა სამეცნიერო დაწესებულებებთან იმ მიზნით, რომ უფრო აქტიურად ინერგებოდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, უახლესი ტექნოლოგია და შრომის თანამედროვე მეთოდები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილებებმა სისტემატური კონტროლი გაუწიონ, თუ როგორ მიმდინარეობს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება, და მიიღონ ოპერატიული ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შედეგების შესახებ პერიოდულად მოახსენონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს.

10. შენარჩუნებულ იქნეს 1975 წელს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი, გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი და სახსრების წყაროები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1974 წლის 28 მაისის № 281 დადგენილებით.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა განსაზღვრა მოხდეს 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულების გათვალისწინებით.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ 1975 წელს სოფლის მეურნეობის მუშაკები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა გაადიდონ მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის, კვერცხის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, ვადამდე შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის დავალებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**
საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 24 იანვარი, № 66.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტის ახალი საბვირთო ტარიფების შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება და არ იქნეს შემოღებული 1975 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ახალი ტარიფები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 36 დადგენილება „საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების სამოქმედოდ შემოღების ვადის შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 3 იანვარი, № 2.

6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 ივლისის № 394 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის გამოცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 ივლისის № 394 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ჩამოყალიბდეს აღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულისათვის მასალების მომზადება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალურ სამეცნიერო რედაქციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაევალოთ:

ისტორიულ-რევოლუციური, ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებისა და ისტორიის ძეგლებისა — ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული კულტურის ძეგლებისა — გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს.

საჭიროების შემთხვევაში ნება დაერთოს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალურ სამეცნიერო რედაქციას საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულზე მუშაობის დასაჩქარებლად ხელშეკრულებანი დაუდოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრებს.“

2. აღნიშნული დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს რედაქციით, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 8 იანვარი, № 9.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 8 იანვრის № 9
დადგენილების დანართი

სახსრები და ხელფასის ფონდი, რაც ყოველწლიურად გამოეყოფა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სპეციალურ სამეცნიერო რედაქციას საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის გამოსაცემად მომზადებისათვის

(ათასი მანეთი)

ხარჯების დასახელება	სახსრები	მათ შორის ხელფასის ფონდი	აქედან არასრულგანაკვეთებელ ხელფასის ფონდი
კრებულია მასალების მოსამზადებელი რედაქციის შესანახად	28,0	23,0	—
იმ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, რომლებსაც ასრულებენ:			
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი	48,0	36,0	36,0
მათ შორის:			
ისტორიულ-რევოლუციური ძეგლებისა	8,0	6,0	6,0
ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებისა . . .	40,0	30,0	30,0
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი . . .	25,0	20,0	20,0
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრები	7,0	4 0	40,
სულ . .	108,0	83,0	60,0

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

7 რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში ერთგვარად გაუმჯობესდა კულტურის ძეგლთა დაცვის, რესტავრაციისა და კონსერვაციის საქმე.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არ უთმობენ ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას. მცირეა სახელმწიფოს მიერ დაცულ ძეგლთა რაოდენობა, მრავალი უნიკალური ძეგლი მოითხოვს სასწრაფო შეკეთებას. ადგილობრივი ორგანოები არ გამოჰყოფენ კანონით გათვალისწინებულ თანხებს, არ ზრუნავენ ძეგლებთან მისასვლელი გზების გასაყვანად და შესაკეთებლად, არ აღკვეთავენ ძეგლებზე უნებართვო მიშენებებს, ტოვებენ მათ უზედამხედველოდ, რის შედეგად მთელი რიგი ძეგლები ათეული წლების განმავლობაში ირღვევა და ინგრევა. მოუგვარებელია არქეოლოგიური ძეგლების კონსერვაცია და შემდგომი მოვლა-პატრონობა, ცშირად სათანადო სიმაღლეზე არ დგას სარესტავრაციო სახელოსნოს მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი. მრავალ ძეგლში უნებართვოდ მოთავსებულია შეუფერებელი დაწესებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის № 3898 დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვა დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომლებმაც ეს ფუნქციები უნდა განახორციელონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით და ძირითადად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში, რისთვისაც:

ა) გამოჰყონ ყოველწლიურად ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლიდან საჭირო სახსრები რაიონში, ქალაქში არსებული კულტურის ძეგლების მიმდინარე პროფილაქტიკური შეკეთებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის, აწარმოონ ეს სამუშაოები მხოლოდ სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს სათანადო უბნების მეშვეობით, მიიყვანონ კულტურის ძეგლებთან სამანქანო გზები მასალების მისაზიდად;

ბ) ერთი თვის ვადაში გადასინჯონ თავიანთ ტერიტორიებზე არსებული კულტურის ძეგლების მდგომარეობა, რომლებიც თვითნებურად დაკავებული აქვთ სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს ან კერძო პირებს, და გააფორმონ მათთან სათანადო საიჯარო ხელშეკრულებები, ხოლო ისეთი ძეგლები, რომლებიც ზიანდება მათი არასწორი ექსპლუატაციის გამო, გაათავისუფლონ და მოუარონ მათ კულტურის ძეგლთა დაცვის დებულების შესაბამისად; მიიღონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სახვითი ხელოვნების სამმართველოსაგან მათთან დადებული კუ-

ლტურის ძეგლებით სარგებლობის საიჯარო-დაცვითი ხელშეკრულებები, 1975 წლიდან თვითონ გადაიფორმონ ეს ხელშეკრულებები და განახორციელონ ამ ძეგლების შემდგომი მოვლა-პატრონობა;

გ) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან ერთად განიხილონ კულტურის ძეგლების ტერიტორიებზე უნებართვოდ აშენებულ და მიშენებულ შენობა-ნაგებობათა დატოვების საკითხი და მიიღონ გადამჭრელი ზომები დამნაშავეთა ხარჯზე მათი აღებისა და ძეგლების დაცვის ზონებს გარეთ გადატანისათვის;

დ) კონტროლი გაუწიონ რაიონებში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს, რათა გამოვლინებული კულტურის ძეგლები თავიანთი ტერიტორიებითურთ გამთხრელმა ორგანიზაციებმა მოიყვანონ სათანადო წესრიგში და ჩაიბარონ ეს ძეგლები შემდგომი მოვლა-პატრონობისათვის, რის შესახებაც ყველა ცალკეულ შემთხვევაში აცნობონ კულტურის ძეგლთა დაცვისა და სახვითი ხელოვნების სამმართველოს.

არ დაუშვან კულტურის ძეგლთა ტერიტორიებზე მიცვალებულთა დაკრძალვა;

ე) დაუყოვნებლივ აღმოფხვრან კულტურის ძეგლების მცველთა შტატების სხვა დანიშნულებით გამოყენება და გაათავისუფლონ ისეთი მცველები, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას;

ვ) სისტემატურად აწარმოონ მოსახლეობაში კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებზე სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა ყველა საამისო საშუალებათა გამოყენებით, ფართოდ ჩააბან მასში ადგილობრივი ინტელიგენცია და მთელი საზოგადოებრიობა, პასუხი აგებინონ იმ პირებს, რომლებიც მინაწერებით ან სხვა სახის მოქმედებით აზიანებენ ძეგლებს, განიხილონ ეს საკითხები აღმასკომების სხდომებზე, მიიღონ დამნაშავეთა მიმართ კანონით გათვალისწინებული და საზოგადოებრივი გაკიცხვის ზომები, შექმნან მათ გარშემო საზოგადოების შეურიგებლობის ატმოსფერო.

2. დამტკიცდეს უმნიშვნელოვანესი კულტურის ძეგლების სია დანართის თანახმად, ხოლო მათგან გამოიყოს უნიკალური ძეგლები და წარედგინოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საკავშირო მნიშვნელობის ძეგლთა რიცხვში შესატანად.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ:

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა, კონტროლი და ზედამხედველობა როგორც ადგილობრივი ორგანოების, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა საწარმოდაწესებულებისა და ორგანიზაციის მიმართ, რომლებიც სარგებლობენ კულტურის ძეგლთა შენობებით, განსაკუთრებულად იზრუნოს კულტურის ძეგლთა დაცვის დებულების განუხრელად განხორციელებისათვის, საიჯარო-დაცვითი ხელშეკრულებების გაფორმებისა და მათი პირობების შესრულებისათვის;

ბ) განახორციელოს დაცვის ყველა ღონისძიება და დაამყაროს სანიმუშო წესრიგი კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების მოვლა-შენახვის საქმეში, გააფორმოს მათზე საიჯარო-დაცვითი ხელშეკრულებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოსთან და საქართველოს პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველოსთან ერთად სხვა რესპუბლიკებისა და ქვეყნების გამოცდილების მაგალითისამებრ შეიმუშაოს ტურისტულ-საექსკურსიო ღონისძიებებში კულტურის ძეგლების ფართოდ გამოყენების პრაქტიკული წინადადებები და წარმოუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დ) გააძლიეროს მუშაობა კულტურის ძეგლების გამოვლინებისა და კლასიფიკაციისათვის და სათანადო მეცნიერული დასაბუთების შემდეგ წარმოადგინოს წინადადება მათი სახელმწიფო დაცვის შესახებ;

ე) მკვეთრად გააუმჯობესოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს მუშაობა, შექმნას ამ სახელოსნოს დამხმარე საწარმოები რესტავრაციისათვის საჭირო სპეციალური აგურით, კრამიტით, ხის ნაკეთობებით, სხვა კონსტრუქციებითა და მასალებით მისი უზრუნველყოფის მიზნით; გააძლიეროს ამ სახელოსნოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმ ანგარიშით, რომ მას წლის განმავლობაში შეეძლოს 1,5 მილიონი მანეთის სამუშაოს შესრულება, შექმნას სახელოსნოს სარაიონთაშორისო ზონალური დამატებითი უბნები და დაავალოს მათ, გარდა კაპიტალური სამუშაოებისა, რაიაღმასკომების დაკვეთით ძეგლების მიმდინარე-პროფილაქტიკური შეკეთებისა და მათი ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოთა წარმოება.

განსაკუთრებული ქმედითი დახმარება გაუწიოს ამ სახელოსნოს ქიმიურ ლაბორატორიას მოწყობილობა-დანადგარებით, აპარატურით, მასალებით და სხვა საშუალებებით დროულად მომარაგების საქმეში, მიიღოს ზომები ახლადკურსდამთავრებული სპეციალისტებით და კვალიფიციური მუშახელით სახელოსნოს დაკომპლექტებისათვის.

აღკვეთოს კულტურის ძეგლებზე კაპიტალური სამუშაოების ნაწილობრივ შესრულების არსებული პრაქტიკა და უზრუნველყოს მათი საიმედო ტექნიკური მდგომარეობა ტერიტორიების კეთილმოწყობისა და დაცვითი ზონების შემოკავების ჩათვლით; ასეთი ძეგლები მიიღოს სპეციალური კომისიების მეშვეობით და ჩააბაროს საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შემდგომი მოვლა-პატრონობისათვის;

ვ) 2-3 წელიწადში ერთხელ მოაწყოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს მიერ შესრულებულ სამუშაოთა ფოტომასალების გამოფენა და სისტემატურად აწარმოოს ამ სამუშაოთა ფართო პოპულარიზაცია პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით;

ზ) კულტურის ძეგლთა კაპიტალური შეკეთების, გამაგრებისა და რესტავრაციის სამუშაოებისათვის ყოველწლიურად განკუთვნილი სახსრების ანარიცხებისა და სპეცსახსრების ხარჯზე შექმნას ამ სამუშაოებისადმი ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფი, ხოლო კულტურის ძეგლთა დაცვის მეთოდურ საბჭოს დაავალოს კულტურის ძეგლთა დაცვის ინსპექციის ფუნქციები.

4. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ:

ა) გამოსცეს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახე-

ლოსნოს მიერ შესრულებულ სამუშაოთა კრებული სათანადო ტექსტითა და ფოტოილუსტრაციებით;

ბ) კრებულ „ძეგლის მეგობარში“ სისტემატურად გამოაქვეყნოს მასალები განსაკუთრებით მნიშვნელოვან კულტურის ძეგლებზე ჩატარებულ აღდგენით და სხვა კაპიტალურ სამუშაოთა შესახებ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს ან ცალკეულ არქიტექტორ-რესტავრატორთა შემოქმედებითი ანგარიშის სახით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად შეიმუშაოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლინებული კულტურის ძეგლების დაცვის მეთოდური მითითებები და პრაქტიკული წესები, აგრეთვე მუზეუმ-ნაკრძალების წესდება, რომლითაც დადგინდება მათი დაქვემდებარება, ექსპლუატაციის პირობები და სხვა.

6. საქართველოს პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ 1976-1978 წლებში გამოჰყოს 300 ათასი მანეთი კულტურის იმ ძეგლებთან მისასვლელი გზების გაყვანის, ტერიტორიების კეთილმოწყობისა და თვით ძეგლების გამაგრება-რესტავრაციისათვის, რომლებიც მდებარეობენ ტურისტულ მარშრუტებზე.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ გაუწიოს რაიაღმასკომებს სათანადო დახმარება კულტურის ძეგლებთან მისასვლელი გზების გაყვანაში, რათა შეიქმნას სათანადო პირობები ამ ძეგლების გამაგრებითი და სარესტავრაციო სამუშაოების შესრულებისათვის.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1975 წელს განიხილოს საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსათვის ძეგლთა დაცვის ღონისძიებებზე დამატებითი საშენი მასალებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის შესახებ და შემდგომი წლების ფონდების განაწილებისას მხედველობაში მიიღოს ამ სამუშაოთა სპეციფიკა და მძიმე საგზაო პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 9 იანვარი, № 13.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 9 იანვრის № 13
დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლებისა

ძეგლის დასახელება	თარიღი	ძეგლის სახე	ადგილმდებარეობა
1. ალავერდი	X-XVII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. ალავერდი, ახმეტის რაიონი
2. ანანური	XVI-XVIII სს.	ანსამბლი	ს ანანური, დუშეთის რაიონი
3. ანჩისხატი	VIII-1675 წ.	ბაზილიკა, სამრეკლო	თბილისი, შავთელის ქ. № 7
4. ატენის სიონი	VIII ს.	მონასტერი	ს. ატენი, გორის რაიონი
5. აწყური	XIV ს.	ციხე	ს. აწყური, ახალციხის რაიონი
6. ახალი შუამთა	XVI-XVII სს.	კომპლექსი	თელავის მიდამოები
7. ბაგრატი	1003 წ.	ტაძარი	ქ. ქუთაისი
8. ბედია	X-XI სს.	მონასტერი	ს. აგურდია, ოჩამჩირის რაიონი
9. ბეთანია	XII-XIII სს	მონასტერი	ს. კვირეთი, გარდაბნის რაიონი
10. ბიჭვინთა	X-XII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. ბიჭვინთა, გოგოაუთის რაიონი
11. ბოლნისის სიონი	478-798 წწ.	ბაზილიკა, სამრეკლო, გალავანი	ბოლნისის რაიონი
12. ბოჭორმა	X-XIII სს.	კომპლექსი	ს. ბოჭორმა, საგარეჯოს რაიონი
13. გეგუთი	XI-XIII სს.	სასახლე	წყალტუბოს რაიონი
14. გელათი	XI-XIII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს გელათი, ტყიბულის რაიონი
15. გონიო	შუა საუკუნეები	ციხე	ს გონიო, ხელვაჩაურის რაიონი
16. გორის ციხე	შუა საუკუნეები	ციხე	ქ. გორი
17. გრემი	XVI ს.	ნაქალაქარი, ეკლესია	ს. გრემი, ყვარლის რაიონი
18. გუდარეხი	XIII ს.	ბაზილიკა	ს. გუდარეხი, თეთრიწყაროს რაიონი
19. დავით გარეჯი	V-XVIII სს.	სამონასტრო კომპლექსი	ოდაბნო, გარეჯის რაიონი
20. დმანისი	VII-XVIII სს.	ნაქალაქარი, ეკლესია, სამრეკლო	ს. პატარა დმანისი, დმანისის რაიონი
21. ვარძია	XII ს.	კლდეში ნაკვეთი ქალაქი	ს ვარძია, ასპინძის რაიონი

ძეგლის დასახელება	თარიღი	ძეგლის სახე	ადგილმდებარეობა
22. ვაჩნაძიანი	VI-IX სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. შრომა, გურჯაანის რაიონი
23. ზარზმა	XVI ს.	სამონასტრო კომპლექსი	ს. ზარზმა, ადიგენის რაიონი
24. თმოგვი	ადრინდელი შუა საუკუნეები	ციხე	ს. თმოგვი, ასპინძის რაიონი
25. იკორთა	1172 წ.	გუმბათიანი ეკლესია	ს. იკორთა, ცხინვალის რაიონი
26. იყალთო	IX-XII სს.	კომპლექსი	ს. იყალთო, თელავის რაიონი
27. კაცხი	XI-XII სს.	ეკლესია	ს. კაცხი, ჭიათურა
28. კახთუბანი	VIII ს.	ორგუმბათიანი ეკლესია	გურჯაანის მიდამოები
29. კვეტერა	X ს.	კომპლექსი	ახმეტის რაიონი
30. კვირიკე და ივლიტა	X-XI სს.	მონასტერი	ს. ხე, მესტიის რაიონი
31. კიმოთეს უბანი	XII-XIII სს.	სამონასტრო კომპლექსი	ს. კიმოთეს უბანი, ბორჯომის რაიონი
32. კუმურდო	964 წ.	გუმბათიანი ეკლესია	ს. კუმურდო, ახალქალაქის რაიონი
33. ლიხნი	X-XI სს.	გუმბათიანი ეკლესია	ს. ლიხნი, გუდაუთის რაიონი
34. მარტვილი	VII-XII ს.	სამონასტრო კომპლექსი	ქ. გიგეჭკორი
35. მეტეხი	1278-89 წწ.	გუმბათიანი ეკლესია	თბილისი, მეტეხის აღმართი
36. მოქვი	X-XIV სს.	გუმბათიანი ეკლესია	ს. მოქვი, ოჩამჩირის რაიონი
37. მოდინახე	შუა საუკუნეები	ციხე	საჩხერის რაიონი
38. ნეკრესი	IV-XVI სს.	სამონასტრო ანსამბლი	ყვარლის რაიონი
39. ნიკორწმინდა	1014 წ.	გუმბათიანი ეკლესია	ს. ნიკორწმინდა, ამბროლაურის რაიონი
40. ნინოწმინდა	XI-XVIII სს.	ანსამბლი	ს. ნინოწმინდა, საგარეჯოს რაიონი
41. ნოქალაქევი	V ს.	კომპლექსი	ს. ნოქალაქევი, ცხაკაიას რაიონი
42. პიონერთა სასახლე	1807 წ.	—	თბილისი, რუსთაველის პრ. № 6
43. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა	XX საუკუნის 10-იანი წლები	—	თბილისი, კეცხოველის ქ. № 5
44. სავანე	1046 წ.	ბაზილიკა	ს. სავანე, საჩხერის რაიონი
45. სამება	XIV-XV სს.	გუმბათიანი ეკლესია	ს. გერგეთი, ყაზბეგის რაიონი
46. სამთავისი	X-XVIII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ქ. სამთავისი, კასპის რაიონი
47. სამთავისი	XI-XVIII სს.	მონასტერი	ქ. მცხეთა
48. სამშვილდე	შუა საუკუნეები	ნაქალაქარი	ს. სამშვილდე, წითელწყაროს რაიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის დასახელება	თარიღი	ძეგლის სახე	ადგილმდებარეობა
49. სამწვერისი	VII ს.	გუმბათიანი ეკლესია	ს. სამწვერისი, ქარელის რაიონი
50. საფარა	X-XIV სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. ღრელი, ახალციხის რაიონი
51. სვეტიცხოველი	IV-XI-XVIII სს.	კომპლექსი	ქ. მცხეთა
52. უბისი	შუა საუკუნეების	ეკლესია	ს. უბისი, ორჯონიკიძის რაიონი
53. უფლისციხე	ძველი წელთაღრიცხვის I ს.	ქალდეში ნაკვეთი ქალაქი	ს. უფლისციხე, გორის რაიონი
54. ურბნისი	VII ს.	ბაზილიკა	ს. ურბნისი, ქარელის რაიონი
55. უჯარმა	XII-XIII სს.	ციხე-ქალაქი	ს. უჯარმა, საგარეჯოს რაიონი
56. ფიტარეთი	XIII-XVIII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. ფიტარეთი, თეთრი წყაროს **რაიონი**
57. ქვათახევი	XII-XIII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. წინარეხი, კასპის რაიონი
58. ქსნის ციხე	XIV ს.	ციხე	მცხეთის რაიონი
59. ყინწვისი	XII-XIII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. ყინწვისი, ქარელის რაიონი
60. შატილი	შუა საუკუნეები	კოშკური სახლების ანსამბლი	ს. შატილი, დუშეთის რაიონი
61. შიომღვიმე	VI-XII სს.	სამონასტრო ანსამბლი	ს. ძეგვი, მცხეთის რაიონი
62. ჩაქაში	X-XIII სს.	კომპლექსი	ს. უშგული, მესტიის რაიონი
63. ძველი შუამთა	VI-VII სს.	კომპლექსი	თელავის მიდამოები
64. წალენჯიხა	X-XI სს	გუმბათიანი ეკლესია	წალენჯიხა
65. წრომი	625-634 წწ.	ტაძარი	ს. წრომი, ხაშურის რაიონი
66. წუღრუღაშენი	1213-1222 წწ.	გუმბათიანი ეკლესია	ბოლნისის მიდამოები
67. ხელოვნების მუზეუმი	XIX საუკუნის 30-იანი წლები	ყოფილი სასულიერო სემინარია	თბილისი, კეცხოველის ქ. № 1
68. ხერთვისი	X ს	ციხე	ს. ხერთვისი, ასპინძის რაიონი
69. ჯვარი	VI-XI-XVIII სს.	კომპლექსი	ქ. მცხეთა
70. ჯრუჭი	შუა საუკუნეები	გუმბათიანი ეკლესია	ქ. საჩხერის მიდამოები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

8 საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოში სანაშენო საქმის მთავარი, უფროსი და რიგითი ზოოტექნიკოსების საშტატო ერთეულების აღდგენის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 იანვრის № 44 დადგენილების შესაბამისად აღდგენილ იქნეს ზოგიერთი რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოში სანაშენო საქმის მთავარი, უფროსი და რიგითი ზოოტექნიკოსების 20 საშტატო ერთეული ხელფასის ფონდით 2.820 მანეთი თვეში, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 10 იანვარი, № 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 10 იანვრის № 16
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

სანაშენო საქმის მთავარი უფროსი და რიგითი ზოოტექნიკოსების საშტატო ერთეულებისა, რომლებიც აღდგენილ უნდა იქნეს ზოგიერთი რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოში

რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის საუმართველოების დასახელება	თანამდებობის დასახელება
1. წყალტუბოს	მთავარი ზოოტექნიკოსი
2. წულუკიძის	„
3. ტყიბულის	„
4. ლენტეხის	„
5. ახალქალაქის	უფროსი ზოოტექნიკოსი
6. გორის	„
7. საგარეჯოს	„
8. გურჯაანის	„
9. თელავის	„
10. ყვარლის	„
11. დუშეთის	„
12. თიანეთის	„
13. სამტრედიის	„
14. საჩხერის	„
15. ჩხოროწყუს	„
16. ბოგდანოვკის	ზოოტექნიკოსი
17. სიღნაღის	„
18. ბოლნისის	„
19. ყაზბეგის	„
20. წითელწყაროს	„
ს უ ლ:	20 საშტატო ერთეული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

9 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის, წარმოების კონცენტრაციის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით და „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა წინადადებების განხილვის შედეგების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 8 მაისის № 223 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადება რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიებისა და 1975 წლის იანვრიდან გორის, ზესტაფონისა და წყალტუბოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ აღნიშნულ რაიონებში არსებულ სამრეწველო საწარმოთა და წარმოებათა ბაზაზე, დანართის თანახმად, ამასთან დაექვემდებარონ ისინი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასკომს და გავრცელდეს მათზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 212 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საწარმოო გაერთიანების შესახებ.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანება მართვის სპეციალური აპარატით ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის არსებული სამმართველოს რეორგანიზაციის ბაზაზე, ამასთან დაექვემდებაროს იგი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვა ქუთაისის საწარმოო გაერთიანების მართვის სპეციალური აპარატის შესაქმნელად (საწარმოო გაერთიანების დებულების II განაყოფის მე-17 პუნქტის შესაბამისად).

3. გავრცელდეს საწარმოო გაერთიანების დებულება ადგილობრივი მრეწველობის წინათ შექმნილ გაერთიანებებზე „სოლანსა“ და „სიხარულზე“ და საგალანტერეო-სატრიკოტაჟო გაერთიანებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 13 იანვარი, № 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 13 იანვრის № 18
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

ადგილობრივი მრეწველობის ახლადშექმნილი საწარმოო გაერთიანებებისა

1. გორის საწარმოო გაერთიანება შემდეგი შემადგენლობით:
   გორის ქალაქმრეწვკომბინატი (მთავარი საწარმო);
   გორის ხის დამმუშავებელი ქარხანა;
   გორის მექანიკური ქარხანა.
2. ზესტაფონის საწარმოო გაერთიანება შემდეგი შემადგენლობით:
   ზესტაფონის რაიმრეწვკომბინატი (მთავარი საწარმო);
   ზესტაფონის (ტევრის) საშენ მასალათა ქარხანა.
3. წყალტუბოს საწარმოო გაერთიანება შემდეგი შემადგენლობით:
   წყალტუბოს რაიმრეწვკომბინატი (მთავარი საწარმო);
   წყალტუბოს ქიმიური ქარხანა;
   წყალტუბოს ბროლის ქარხანა;
   გვიშტიბის ბლოკების ქარხანა;
   წყალტუბოს საგალანტერეო ფაბრიკა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„143. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საგარეჯოს სალტესარემონტო ქარხნის საცხოვრებელი სახლი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 14 იანვარი, № 21.

11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 დეკემბრის № 680 დადგენილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს ორგანიზატორული მუშაობა სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში იმისადმი კონტროლის დარგში, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს მიწების, სასარგებლო წიაღისეულის, მცენარეების, წყლისა და ცხოველთა რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის, ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების შესახებ, როგორ მუშაობენ საწმენდი ნაგებობანი და სად აგდებენ ჩამდინარე წყლებს, როგორ ხორციელდება ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან

ასაცილებლად, აგრეთვე ტყეების წყალდამცავი და სხვა დამცავი ფუნქციების შესანარჩუნებლად, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი აღნიშნულ საკითხებზე და შემოიტანოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ერთ თვეში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სახელმწიფო კომიტეტის დებულების პროექტი.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა და შტატები 59 საშტატო ერთეულის ოდენობით და საშუალო თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით აღრიცხული ხელფასის ფონდი თვეში 7946 მანეთის ოდენობით დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს თანამდებობრივი განაკვეთი დაუწესდეს 430 მანეთის ოდენობით, თავმჯდომარის პირველ მოადგილეს 310 მანეთის ოდენობით და თავმჯდომარის მოადგილეებს — 300-300 მანეთი თვეში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით, ყოფილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს გამგებლობიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში გადავიდეს სახელმწიფო ნაკრძალები, სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობანი, სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობანი, სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციები და ნაკრძალები.

ნება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს მისთვის ყოფილი ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ობიექტების გადაცემასთან დაკავშირებით შექმნას ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო 12 ერთეულის რაოდენობის შტატით სამმართველოს აპარატის რიცხოვნობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრული ასიგნებების საერთო ლიმიტების ხარჯზე, რომლებიც დამტკიცებული ჰქონდა სახელმწიფო კომიტეტს 1975 წლისათვის.

გადაცემა განხორციელდეს 1975 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით მთელი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით და ასიგნებით, შტატებით და სამმართველოს აპარატის შესანახი ზღვრული ასიგნებებით, რომლებიც დამტკიცებულია 1975 წლისათვის.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ დადგენილებიდან.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 10 დღეში შეიმუშაოს ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაყოფების და ზონალური ჰიდროქიმიური ლაბორატორიების სტრუქტურა და შტატები, შეუთანხმოს ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. რთველიაშვილი) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. კუჭავა) სამუშაოზე მოაწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ყოფილი ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ყოფილი სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 27 იანვარი, № 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 27 იანვრის № 68
დადგენილებით

ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტისა

ხელმძღვანელობა
ინსპექციები და განყოფილებანი სამინისტროთა სამმართველოების უფლებებით;
მიწების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ინსპექცია
წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ინსპექცია
წყლის მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება
წყლის ბალანსების განყოფილება
ტყეებისა და სხვა ფლორის დაცვის ინსპექცია
ნაკრძალების, თევზის მარაგის, სამონადირეო და სხვა ფაუნის დაცვის ინსპექცია
პროექტების განხილვისა და ბუნების გარემოს დაცვის განყოფილება
ბუნების გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემებისა და პროპაგანდის განყოფილება
ბუღალტერია
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება
კომიტეტთან არსებული ორგანიზაციები და დაწესებულებანი:
    თბილისის ჰიდროქიმიური ლაბორატორია
    ბათუმის ზონალური ჰიდროქიმიური ლაბორატორია
    ქუთაისის ზონალური ჰიდროქიმიური ლაბორატორია
    ბუნების დაცვის ზონალური სარაიონთაშორისო ქვეგანაყოფები—15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 27 იანვრის № 68
დადგენილებით

ᲡᲐᲨᲢᲐᲢᲝ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატისა (სამინისტროთა სამმართველოების უფლებებით მოქმედი ინსპექციებისა და განყოფილებებისა)

თანამდებობებისა და სტრუქტურული ქვეგანაყოფების დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
1. კომიტეტის თავმჯდომარე	1
2. თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1
3. თავმჯდომარის მოადგილე	1
4. თავმჯდომარის მოადგილე	1
5. თავმჯდომარის თანაშემწე	1
6. სტენოგრაფისტი	1
7. მდივან-მემანქანე	1
8. უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში	1
9. იურისკონსულტი	1
სულ	9
მიწების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ინსპექცია	
1. უფროსი	1
2. უფროსი ინსპექტორი	1
3. უფროსი ინსპექტორი	1
4. ინსპექტორი	1
სულ	4
წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ინსპექცია	
1. ინსპექციის უფროსი	1
2. უფროსი ინსპექტორი	1
3. უფროსი ინსპექტორი	1
4. უფროსი ინსპექტორი	1
სულ	4
წყლის მაღნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება	
1. განყოფილების გამგე	1
2. უფროსი ინჟინერი	1
3. უფროსი ინჟინერი	1
4. აგრონომ-მელიორატორი	1
სულ	4

თანამდებობებისა და სტრუქტურული ქვეგანაყოფების დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
წყლის ბალანსების განყოფილება	
1. განყოფილების უფროსი	1
2. უფროსი ინჟინერი	1
3. უფროსი ინჟინერი	1
4. ინჟინერ-ეკონომისტი	1
სულ	4
ტყეებისა და სხვა ფლორის დაცვის ინსპექცია	
1. უფროსი	1
2. უფროსი ინსპექტორი	1
3. უფროსი ინსპექტორი	1
4. ინსპექტორი	1
სულ	4
ნაკრძალების, თევზის მარაგის, სამონადირეო და სხვა ფაუნის დაცვის ინსპექცია	
1. უფროსი	1
2. უფროსი ინსპექტორი	1
2. უფროსი ინსპექტორი	1
4. ინსპექტორი	1
სულ	4
პროექტების განხილვისა და ბუნების გარემოს დაცვის განყოფილება	
1. უფროსი	1
2. უფროსი ინსპექტორი	1
3. უფროსი ინსპექტორი	1
4. ინჟინერი	1
სულ	4
ბუნების გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემებისა და პროპაგანდის განყოფილება	
1. უფროსი	1
2. უფროსი ინჟინერი	1
3. უფროსი ინჟინერი	1
4. უფროსი ინსპექტორი	1
5. ინსპექტორი	1
სულ	5

თანამდებობებისა და სტრუქტურული ქვეგანაყოფების დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
ცენტრალური ბუღალტერია	
1. მთავარი ბუღალტერი	1
2. უფროსი ეკონომისტი	1
3. მოანგარიშე-მოლარე	1
სულ . . .	3
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება	
1. უფროსი	1
2. მეურნეობის გამგე	1
3. კანცელარიის გამგე	1
4. საქმის მწარმოებელი	1
5. არქივის გამგე	1
6. უფროსი მემანქანე	1
7. მემანქანეები	3
8. მსუბუქი მანქანის შოფერი	1
9. დამლაგებელი	3
10. შიკრიკი	1
სულ . . .	14
მთლად . . .	59

12 საქართველოს სსრ თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა მარაგის დაცვის გაძლიერების შესახებ

რესპუბლიკის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა მარაგის დაცვის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ოქტომბრის № 833 დადგენილება „სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა მარაგის დაცვის გაძლიერების შესახებ“ დაეგზავნოთ ცნობად და სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოს, მონკავშირს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ პროკურატურას, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სრულიად საარმიო სამხედრო-სამონადირეო საზოგადოების საოლქო საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს გააფართოონ მოსახლეობაში მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა თევზის მარაგის დაცვის საკითხებზე.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ოქტომბრის № 833 დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ნიხრები შემდეგ სახეობათა თითოეული უკანონოდ დაჭერილი თევზისათვის (წონისა და ზომის მიუხედავად) საზღაურის ოდენობის გამოსაანგარიშებლად:

მურწა, მდინარის ხრამული, მტკვრის წვერა და დიდი ზომის სტავრიდულა — 2 მანეთი;

ტბის ხრამული — 3 მანეთი;

კეფალი — 5 მანეთი;

ჭანარი, ლოქო — 10 მანეთი;
კამბალა-კალანი — 20 მანეთი.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად:

— ზარალისათვის გადახდევინების ოდენობას აღნიშნული ნიხრის მიხედვით გამოიანგარიშებენ თევზდაცვის ორგანოთა თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული წესით ჯარიმის დადების უფლება;

— ზარალისათვის გადახდევინება მის ნებაყოფლობით ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში წარმოებს სასამართლო წესით თევზდაცვის ორგანოთა სარჩელის მიხედვით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 იანვრის № 41 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყველგან აკრძალონ ისეთ ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა გაყიდვა კერძო პირების მიერ, რომელთა უკანონოდ დაჭერის, მოპოვების ან მოსპობისათვის გათვალისწინებულია მოქალაქეებისათვის მათ მიერ მიყენებული ზარალის გადახდევინება (დამტკიცებული ნიხრების მიხედვით), ხიზილალისა, აგრეთვე ზღვის ძუძუმწოვართა ტყავისა საფაბრიკო დამღის გარეშე და ამ სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა სხვა პროდუქციისა“.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 იანვრის № 41 დადგენილების მე-9 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 6 თებერვალი, № 89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 833

1974 წლის 25 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა მარაგის დაცვის გაძლიერების შესახებ

სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა მარაგის დაცვის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ნიხრები იმ ზარალისათვის გადახდევინების ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა უკანონოდ (თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა) დაჭერით, მოპოვებით ან მოსპობით.

ზარალისათვის გადახდევინების ოდენობას გამოიანგარიშებენ აღნიშნული ნიხრების მიხედვით თევზდაცვის ორგანოთა თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული წესით ჯარიმის დადების უფლება. ზარალისათვის გადახდევინება მის ნებაყოფლობით ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში წარმოებს სასამართლო წესით თევზდაცვის ორგანოთა სარჩელით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ენიჭებათ დაამტკიცონ, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ნიხრები იმ ზარალისათვის გადახდევინების ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს ისეთ ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა უკანონოდ დაჭერით, მოპოვებით ან მოსპობით, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ დადგენილებით დამტკიცებულ ნიხრებში.

2. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ. № 16, მუხ. 127;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 წ. № 1, მუხ. 3) დამტკიცებულ დებულებაში სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების შესახებ შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ა) მე-11 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) ისეთ ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა გაყიდვა კერძო პირების მიერ ყველგან, რომელთა უკანონოდ დაჭერის, მოპოვების ან მოსპობისათვის გათვალისწინებულია მოქალაქეებისათვის მათ მიერ მიყენებული ზარალის გადახდევინება (დამტკიცებული ნიხრების მიხედვით), ხიზილალისა, აგრეთვე ზღვის ძუძუმწოვართა ტყავისა საფაბრიკო დამღის გარეშე და ამ სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა სხვა პროდუქციისა“;

ბ) მე-19 პუნქტის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ სახსრების 30 პროცენტი, რაც მიღებული იქნება ჩამორთმეული თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა რეალიზაციისაგან, ადმინისტრაციული წესით გადახდევინებული ჯარიმებისაგან, აგრეთვე იმ ზარალისა ასანაზღაურებლად გადახდევინებული თანხებიდან, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა უკანონოდ დაჭერით, მოპოვებით ან მოსპობით“.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-3 და მე-4 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 940 დადგენილებისა „სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1970 წ. № 1, მუხ. 3).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1974 წლის 25 ოქტომბრის № 833
დადგენილებით

ნ ი ხ რ ე ბ ი

იმ ზარალისათვის გადახდევინების ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა უკანონოდ დაჭერით, მოპოვებით ან მოსპობით

თევზის, ზღვის ძუძუმწოვართა და წყლის უხერხემლოთა სახეობანი	გადახდევინების ოდენობა 1 ცალი თევზის, ზღვის ძუძუმწოვრის ან წყლის უხერხემლოს უკანონოდ დაჭერის, მოპოვების ან მოსპობისათვის, წონისა და ზომის მიუხედავად (მანეთობით)
თევზები:	
სვია, დაურიული სვია	400
ზუთხი, ტარაღანა, ფორეჯი, ნიჩაბცხვირა, ზუთხისებრთა ჰიბრიდები	100
თეთრთევზა, ორაგული, ჩრდილოეთის ორაგული, ნელმა, ჩავიჩა	75
კუმჟა, ტაიმენი, ისიკ-ყულის კალმახი	50
კეტა, კიჟუჩი, ნერკა, სიმა, ღურკანა, მუქსუნი, ჩირი	30
ცქვრინი, წვერა, სევანის კალმახი, შავზურგა, დავათჩაი	20
კალმახი (სევანისა და ისიკ-ყულის კალმახის გარდა), ომული, სიგი, პელიადი, გველთევზა, ლენოკი	10
ჰარიუსი, ვიმბა, კობრი, თეთრი ამური, შავი ამური, სქელშუბლა	5
რიპუსი, ფარგა, კობრი, ლუფარი, ჭერეხი.	3
კაპარჭინა, კეფალი, კუტუმი, სალამურა, შემაია, ტარანი, ნაფოტა	2
ზღვის ძუძუმწოვრები:	
ზღვის წავი	1000
მორეჟი	900
ზღვის კატა	600
ზღვის ძაღლი, თეთრმუცელა, სელაპი, თეთრი დელფინი	500
გრენლანდიური სელაპი, ზღვის კურდღელი, ქოჩორა სელაპი	300
რუხი სელაპი	210
ფრთიანა, ლარგა	150
კუნძულის სელაპი	130
რგოლური სელაპი	120
ბაიკალის სელაპი	110
კასპიის ზღვის სელაპი, დელფინი	100
წყლის უხერხემლოები:	
კამჩატკის კიბორჩხალა, ლურჯი კიბორჩხალა, ტოლფორეჯებიანი კიბორჩხალა, პოლარული კიბორჩხალა	5
ეკლიანი კიბორჩხალა, ბალნიანი კიბორჩხალა, ნამგალა კიბორჩხალა	2
სავარცხელა	1
ტრეპანგი	1
ხამანწკა	0,5

შენიშვნა: ზუთხისებრთა და ორაგულისებრთა ხიზილალის უკანონოდ დამზადებით მიყენებული ზარალისათვის გადახდება თანხა დამზადებული ხიზილალის სამმაგი ღირებულების ოდენობით უმაღლესი ხარისხის ხიზილალის მოქმედი საცალო ფასების მიხედვით.

13 თამბაქოს საფერმენტაციო საწარმოო გაერთიანების „აფხაზთამბაქოს“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება და სოხუმის საცდელ-ექსპერიმენტული თამბაქოს კომბინატის ბაზაზე შეიქმნას თამბაქოს ნედლეულის პირველადი გადამუშავების საცდელ-ექსპერიმენტული საწარმოო გაერთიანება „აფხაზთამბაქო“, რომლის შემადგენლობაში შევლენ სოხუმის (მთავარი საწარმო), განთიადის, გუდაუთის, ოჩამჩირის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნები და გალის თამბაქოს დამამზადებელი ბაზა.

აღნიშნული ღონისძიება განხორციელდეს მმართველობის აპარატის რაოდენობრივი შემადგენლობის, ხელფასის თვიური ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც სამინისტროს დამტკიცებული აქვს 1975 წლისათვის.

2. ყოფილი სოხუმის თამბაქოს საცდელ-ექსპერიმენტული კომბინატის თამბაქოს საწარმო გამოიყოს დამოუკიდებელ ფაბრიკად, უშუალოდ დაექვემდებაროს რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანება „საქთამბაქოს“ და ეწოდოს სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 13 თებერვალი, № 100.

14 „საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების მუშაკთა სტიმულირებისა და წახალისების მიზნით დამტკიცდეს სამკერდე ნიშანი „საქწყალმაშველის მოწინავე“.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება „საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნის შესახებ, ინსტრუქცია ამ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების წესის შესახებ და ნიშნის აღწერილობა.

3. ნება დაერთოს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს დაამზადოს 2000 სამკერდე ნიშანი „საქწყალმაშველის მოწინავე“.

სამკერდე ნიშნის დამზადების ხარჯები ანაზღაურდეს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების სახსრებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 18 თებერვალი, № 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 18 თებერვლის № 107
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნის შესახებ

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშანი არის საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ჯილდო და წარმოადგენს წყალმაშველი საზოგადოების სისტემის, მისი პირველადი, რაიონული, საქალაქო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკთა, წყალმაშველი საზოგადოების აქტივისტთა და სამაშველო სამსახურის მუშაკთა დამსახურებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ღირსეულ დაფასებას საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში დევიზით: „არც ერთი მსხვერპლი — წყალს“.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნით აჯილდოებენ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი და საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის აღმასრულებელ-საორგანიზაციო ბიურო ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების წყალმაშველ საზოგადოებათა საბჭოების პრეზიდიუმებისა და საქწყალმაშველის ცენტრალური საბჭოს განყოფილებათა გამგეების მიერ წარდგენილი დოკუმენტების (დახასიათებების) საფუძველზე.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულთ ჯილდო გადაეცემათ საზეიმო ვითარებაში დაწესებული ნიმუშის შესაბამის მოწმობასთან ერთად.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშანი დაჯილდოებულ პირს ჩამოერთმევა ამ წოდებისათვის შეუფერებელი საქციელის გამო საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ან მისი აღმასრულებელ-საორგანიზაციო ბიუროს დადგენილების საფუძველზე.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ ნიშნით დაჯილდოებული პირები შეტანილ იქნებიან საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს საპატიო წიგნში.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშანს ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 18 თებერვლის № 107
დადგენილებით

ინსტრუქცია

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების წესის შესახებ

1. „საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნით ჯილდოვდებიან საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების მუშაკები და აქტივისტები დამტკიცებული დებულების შესაბამისად საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ან მისი აღმასრულებელ-საორგანიზაციო ბიუროს დადგენილების საფუძველზე.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ ნიშნით დაჯილდოება ხდება საზოგადოების წევრთა რიგებში მოსახლეობის ჩაბმის და საწევრო შენატანების შეგროვების საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის, აგრეთვე წყალმაშველი საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში ქმედითი დახმარების გაწევისათვის.

2. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების წყალმაშველ საზოგადოებათა საბჭოების პრეზიდიუმები „საქწყალმაშველის“ ცენტრალურ საბჭოს წარუდგენენ შუამდგომლობებს და დასაჯილდოებელ პირთა დახასიათებებს წყალმაშველი საზოგადოების საბჭოების შესაბამისი პრეზიდიუმების თავმჯდომარეთა ხელმოწერით.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ან მისი აღმასრულებელ-საორგანიზაციო ბიურო განიხილავს შუამდგომლობებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს.

3. იმ შემთხვევებში, როცა საქწყალმაშველის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს ან მის აღმასრულებელ-საორგანიზაციო ბიუროს დაჯილდოებისათვის საკმარისად არ მიაჩნიათ წარდგენილი შუამდგომლობანი, აღნიშნული შუამდგომლობანი და დახასიათებანი უკან დაუბრუნდება შუამდგომლობის აღმძვრელ ორგანიზაციას, ამასთან აღინიშნება კანდიდატურის უარყოფის მიზეზები.

4. „საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშანს, როგორც წესი, გადასცემს „საქწყალმაშველის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საზეიმო ვითარებაში საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან პრეზიდიუმის წევრი.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ ნიშანთან ერთად დაჯილდოებულს მიეცემა დაწესებული ფორმის მოწმობა დაჯილდოების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ დაჯილდოებული სამკერდე ნიშნის მიღებამდე გაემგზავრება სხვა რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ჯილდო და მოწმობა მისთვის გადასაცემად გაეგზავნება დაჯილდოებულის ახალი საცხოვრებელი ადგილის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს.

6. „საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშანს ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.

7. დაჯილდოებულის გარდაცვალების შემდეგ „საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშანი შესანახად რჩება მის ოჯახს როგორც სახსოვარი.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 18 თებერვლის № 107
დადგენილებით

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშნისა

„საქწყალმაშველის მოწინავის“ სამკერდე ნიშანი მზადდება მომინანქრებული ანოდირებული ალუმინის ნარჩენებისაგან. იგი წარმოადგენს 22 მილიმეტრი დიამეტრის წრეს, რომელიც გაყოფილია ორ თანაბარ განივ ნაწილებად, წრის ზედა ნაწილის თეთრ ფონზე წარწერილია „საქწყალმაშველი“, ქვედა ნაწილის წითელ ფონზე — „ГрузОСВОД“. წრის შუაგულში 16 მილიმეტრი დიამეტრით ლურჯ ფონზე გამოსახულია საჭე ორი გადაჭდობილი ღუზით. საჭის შუაში არის წითელი ჯვარი. წარწერის „ГрузОСВОД“ ქვემოთ ლურჯი ფერის ნახევარწრე გაყოფილია ორ თანაბარ ნაწილად, მარცხენა მხარეს წარწერილია „მოწინავე“, მარჯვენა მხარეს — „Отличник“.

„საქწყალმაშველის მოწინავის“ ნიშანი ყუნწითა და რგოლით უერთდება წითელი ფერის ალუმინის სამაგრს, მას უკანა მხარეს უკეთია ქინძისთავი ტანსაცმელზე მისაბნევად.

15 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების შესაბამისად სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ, როგორც მითითებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებაში, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებათა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დღევანდელი დღის გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად ამ მუშაობის გარდაქმნის ნელი ტემპი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია შესრულების კონტროლისა და შემოწმების დაყენების ჯერ კიდევ დაბალი დონით, მინდობილი საქმისათვის არასაკმარისი მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით, სუსტი სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინით.

ბევრ სამინისტროსა და უწყებაში დღემდე არ შეუქმნიათ საკონტროლო რგოლები, რომლებიც გეგმაზომიერ, ყოველდღიურ კონტროლს გაუწევდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა და ზემდგომი ორგანოების დავალებათა შესრულებას.

მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებში, გაერთიანებებში, ცალკეულ ორგანიზაციებსა და საწარმოებში დაბალია შიდასაუწყებო კონტროლის ორგანიზაციის დონე, საკმარისად არ იყენებენ ინსპექციისა და ბუღალტერიის სამსახურებს, საგეგმო, ეკონომიურ, საფინანსო, სარევიზიო, იურიდიულ განყოფილებებს, ტექნიკური კონტროლის სამმართველოებსა და განყოფილებებს.

კონტროლის ქმედითობა ხშირად კლებულობს იმის გამო, რომ სამინისტროები და უწყებანი მთავრობის განსახილველად წარადგენენ ხოლმე გადაწყვეტილებათა პროექტებს, რომლებიც შედგენილია საკითხის გულმოდგინე და ყოველმხრივი შესწავლის, მატერიალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა მკაფიო და მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრის, უშუალო შემსრულებლებისა და შესრულების ვადების ზუსტი მითითების გარეშე. ამის გამო მიღებული გადაწყვეტილება არარეალურია, მისი შესრულებისადმი კონტროლი კი ნაკლებად ეფექტურია.

მთელ რიგ შემთხვევებში სამინისტროები და უწყებანი მთავრობის განსახილველად წარადგენენ დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტებს ისეთ საკითხებზე, რომლებსაც თითონ უნდა წყვეტდნენ მინიჭებული უფლებების ფარგლებში. ამის გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატი ზედმეტად იტვირთება უამრავი დადგენილებისა და გადაწყვეტილების მომზადებაზე მუშაობით, ხელს უშლის მას მეტი დრო დაუთმოს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესრულებისათვის ორგანიზატორულ საქმიანობას, მთელი ყურადღება მოახმაროს რესპუბლიკის წინაშე მდგომი კარდინალური ამოცანების გადაწყვეტას.

შესრულების კონტროლის ორგანიზაციისათვის გარკვეული დადებითი მუშაობის მიუხედავად, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარა-

ტი ეწევა, ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ჯერაც არ აღმოფხვრილა ფაქტები, როცა რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებანი დროულად არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების დავალებებს, ხოლო აპარატის მუშაკები ზოგჯერ აჭიანურებენ მათთვის შესასრულებლად გადაცემული მასალებისა და საკითხების შესახებ საბოლოო წინადადებების წარდგენას.

კონტროლის სწორი ორგანიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ უთუოდ შესრულდეს მეცხრე ხუთწლედის გეგმა, შეიქმნას პრინციპულობის, მომთხოვნელობის ვითარება, მაღალი შეგნების სულისკვეთებით მუშაკთა აღზრდის, მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების ვითარება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა უცილობელი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— მოაწყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ღრმა შესწავლა ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკების მიერ და გამოიყენონ ჩვენი ქვეყნის ორგანიზაციებისა და უწყებათა მიერ ამ დარგში შეძენილი დადებითი გამოცდილება.

— შეიმუშაონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკური სადირექტივო ორგანოების დავალებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა; შექმნან სპეციალური საკონტროლო რგოლები, რომლებიც ყოველდღიურ, გეგმაზომიერ კონტროლს გაუწევენ საკუთარ დავალებათა შესრულებას, რომლებიც ეძლევათ საქვეუწყებო ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს.

— დანერგონ მუშაობის პრაქტიკაში კომპლექსური შემოწმების მეთოდით გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ორგანიზაცია, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის განხილვისას უფრო სრულად გამოიყენონ ქვემდგომი ორგანოების ანგარიშგებანი, სწორად შეახამონ ზემოდან შემოწმება და ქვემოდან შემოწმება, დროულად გამოეხმაურონ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

— მნიშვნელოვნად აამაღლონ სახელმწიფო და შიდასაუწყებო კონტროლის ქმედითობა და ეფექტიანობა, ამასთან უზრუნველყონ საბჭოთა კანონმდებლობის დაცვა, ინსტრუქციებისა და განკარგულებების შესრულება.

— უზრუნველყონ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მიღებული მასალების ღრმა ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მომზადება და ამ მუშაობაში ჩააბან არა მარტო ხელმძღვანელთა ვიწრო წრე, არამედ აგრეთვე სპეციალისტები, მუშები და კონსულტანტები, რომლებიც იცნობენ ადგილობრივ პირობებს;

— დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მომზადების დროს უზრუნველყონ მატერიალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრა, ზუსტად მიუთითონ შემსრულებლები და შესრულების ვადები;

— ყოველდღიური და შეუსუსტებელი ყურადღება დაუთმონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებათა შესრულებას და უზრუნველყონ, რომ თითოეულმა მათგანმა გამოიღოს გარკვეული შედეგი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებათა და განკარგულებათა რაოდენობის შემცირების კურსის თანამიმდევრული გატარების მიზნით ყოველთვის, როცა ეს შესაძლებელია, უზრუნველყონ საკითხის გადაჭრა ოპერატიული სამუშაო წესით, ამასთან ეცადონ, დამოუკიდებლად მიიღონ გონივრული და სწორი გადაწყვეტილებანი მინიჭებული უფლებების ფარგლებში;

—პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი სისტემატური და ქმედითი კონტროლის ორგანიზაციით უზრუნველყონ:

ა) სახელმწიფო საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულება;

ბ) ღონისძიებათა განხორციელება სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, რათა მრეწველობის ზრდის ტემპი 1975 წელს 1974 წელთან შედარებით 11 პროცენტზე მეტით გაიზარდოს;

გ) ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, ამასთან ეცადონ მნიშვნელოვნად გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა;

დ) ძირითადი ყურადღების დათმობა ხუთწლედის ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ მათი ამოქმედების ვადის მაქსიმალური მოახლოება და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირება;

ე) სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში სიმძიმის ცენტრის გადატანა ყოველდღიურ ორგანიზატორულ მუშაობაზე, ამასთან ყოველნაირად აამაღლონ მუშაკების პასუხისმგებლობა სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის;

ვ) საკონტროლო-სარევიზიო ქვეგანაყოფებისა და სამსახურების როლის ამაღლება საწარმო-ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა დროულ გამოვლენაში, ამასთან საჭირო დახმარება გაუწიონ მათ საგეგმო, საფინანსო და საწარმოო დისციპლინის დაცვაში;

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებს შეიმუშაონ ღონისძიებანი

მართვის ავტომატიზებული სისტემების შესაქმნელად, ამასთან გაითვალისწინონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებში თემატიკა მართვის სისტემების, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის პრობლემებზე სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში კონტროლის განხორციელების მიზნით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატის სტრუქტურის შეცვლასთან, ორგტექნიკის დანერგვით კონტროლის ყველაზე ეფექტიანი მეთოდების შემუშავებასთან დაკავშირებით დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას, რომ ერთ თვეში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი მინისტრთა საბჭოს აპარატში შესრულების კონტროლის უკეთ მოწყობის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს მთავრობის აპარატის საკონტროლო რგოლების მუშაობის ურთიერთდაკავშირება სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების შესაბამის რგოლებთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 19 თებერვალი, № 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება თავისი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„144. სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს აზოვ-შავი ზღვის აუზის თევზის მრეწველობის საქართველოს საწარმოო სამმართველოს გაგრის თევზის ქარხნის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 21 თებერვალი, № 109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 за 1975 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VII-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 4,5, სააღრიცხვო თაბახი 4,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან

შეკვეთა № 586 უე 04652 ტირაჟი 1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა